პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 116 (4626)

1972 წ. 15 ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უკვე ვიტყობინებოდით, რომ თბილისში გაიმართა „მზიარული დელფინის" საქალაქო ტურნირი, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა მ. პატარკაციშვილმა [illegible] ბის განყოფილება. 9—10 წლის გოგონების შეჯიბრებაში მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1.22,6, ხოლო ამავე დისტანციაზე ბატერფლაით 1.45,3 აჩვენა. პატარკაციშვილმა II ადგილებზე გასულთ — დინამოელ ე. აზიმოვასა და განთიადელ ქ. კანუნიკოვას შესაბამისად 0,8 და 11,8 წამით აჯობა.

• • •

სურათზე: მ. პატარკაციშვილი ბატერფლაით ცურვის დროს.

ა. გურასაშვილის ფოტო.





მოსწავლეთა რესპუბლიკური...

## მცხეთა, აჭარა...

ნიჩბოსანთა ასპარეზობა ფოთში გაიმართა. გოგონათა საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა მცხეთის ნაკრებმა (81 ქულა). II ადგილზე გავიდა აჭარის გუნდი (28), III — თბილისისა (21). ვაჟებში უძლიერესი იყო აჭარის ნაკრები (117). II ადგილი ხვდათ მცხეთელებს (115), III — ფოთელებს (73).

## იმედიანი სტარტები

ველოსიპედისტები სამ სახეობაში ასპარეზობდნენ (25 კმ-ზე ინდივიდუალური, 75 კმ-ზე გუნდური და 100 კმ-ზე ჯგუფური რბოლა). შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 17 გუნდი. კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები, III — გორელები.

სახეობათა მიხედვით საპრიზო სამეულები ასეთია: 25 კმ-ზე ინდივიდუალური რბოლა. 1. გ. ივანოვი (თბილისი. 35,00); 2. ზ. შენგელია (აფხაზეთი. 37,59), 3. ნ. პანკრატოვი (თბილისი. 38,00). 100 კმ-ზე ჯგუფური რბოლა. 1. ივანოვი (2:35.06), 2. გ. იუსუფოვი (ლაგოდეხი. 2:35.33), 3. ნ. ცხოვრებაძე (თბილისი. 2:35.49).

ველოსიპედისტთა შეჯიბრების შედეგებით მწვრთნელები კმაყოფილი არიან. ასპარეზობის ბევრმა მონაწილემ კარგი შედეგი აჩვენა და რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. ჯოხაძე დაიმედებულია, რომ საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენები წარმატებით იასპარეზებენ.

თავი ისახელა თბილისელმა გ. ივანოვმა, რომელმაც ორი პირველი ადგილი მოიპოვა. 100 კმ-ზე ჯგუფურ რბოლაში მას ჯეროვანი მეტოქეობა ვერავინ გაუწია და ფინიშზე მარტოდმარტო მივიდა. მკითხველს მოვაგონებთ, რომ ივანოვი წინა ორ სპარტაკიადაშიც სჯობდა თანატოლებს. შარშან მან ხარკოვში გამართულ ჭაბუკ ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა.

სპარტაკიადის აღმოჩენა გახლდათ გორის ნაკრები, რომელმაც კომპლექსურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილი მოიხვეჭა.

ამ ბოლო ხანს გორში ველოსპორტს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და აქ დაუფასდა კიდეც შრომა მწვრთნელ გ. ბერიძეს: მისი აღსაზრდელები გ. ტლაშაძე და თ. ნასყიდაშვილი რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატები არიან.

აფხაზეთიდან ნაკრებში სავარჯიშოდ მოწვეული არიან ზ. შენგელია, კ. ტუზკინი, თბილისიდან — დ. სხირტლაძე, ი. შარმაზანოვი, ნ. პანკრატოვი, ნ. ცხოვრებაძე, გ. ოვსეპიანი და სხვ.

ასპარეზობა ორგანიზებულად ჩატარდა.

„ლელოს" ბრიგადა.

### ოლიმპიური სპორტი [illegible]

**✦ ახმეტა**

საინტერესოდ მიმდინარეობდა „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის. უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მატნისა და ქისტაურის სკოლების გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მატნელებმა. უმცროს ასაკში წარმატება წილად ხვდათ ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

• • •

სოფ. ფიჩხოვანში მოეწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 18 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ო. თიგიშვილმა. ფინალში მან შარშანდელი ჩემპიონი ს. ბაგაური დაამარცხა.

ზ. ნათელაური.

**✦ მაიაკოვსკი**

პირველი ობჩის საშუალო სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივში მოეწყო შეჯიბრება ფეხბურთში. 10 გუნდის ბრძოლაში პირველობა არავის დაუთმეს X (პირველი) კლასის მოსწავლეებმა.

ნ. ვაშაყმაძე.

◆ **ბილინგსი** (აშშ), 14 ივნისი. ამერიკელმა სპრინტერმა, 20 წლის ლ. ბლეკმა 200 მ 20 წამში გაირბინა. ეს შედეგი საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში და მეოთხე — მძლეოსნობის ისტორიაში (ბლეკზე სწრაფად ეს მანძილი გარბენილი აქვთ ამერიკელებს ჯ. კარლოსს — 19.7, ტ. სმითს — 19,8 და იამაიკელ დ. ქვორის — 19,8).

◆ **ბერგენი** (ნორვეგია), 14 ივნისი. ევროპული ტურნე ადგილობრივ სტადიონზე გამოსვლით დაიწყო 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა კ. ო'ბრაიენმა. წვიმაში, დამბალ და ატალახებულ წიდოვან ბილიკზე მან „თავისი" დისტანცია 8 წუთსა და 33 წამში დაფარა. ნორვეგიელთაგან საუკეთესო — ს. სერნესი გამარჯვებულს 4 წამით ჩამორჩა.

◆ **ტოკიო**, 14 ივნისი. იაპონიის ტანვარჯიშის ასოციაციამ მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში სასპარეზოდ ქვეყნის ვაჟთა ნაკრები ასე დააკომპლექტა: ა. ნაკაიამა, ს. კატო, მ. ცუკახარა, ხ. კასამაცუ, ე. კენმოცუ (მსოფლიოს 1970 წლის აბსოლუტური ჩემპიონი), ტ. ოკამურა და ფ. ხონმა.

◆ **ვარშავა**, 14 ივნისი. ხმლით ფარიკაობაში პოლონეთის ჩემპიონის სახელი კვლავ მოიხვეჭა ე. პაველოვსკიმ, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ თანამედროვეობის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მუშკეტერად. პოლონეთის არმიის ოფიცერი პაველოვსკი სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა, თავისი ქვეყნის პირველობა კი 12-ჯერ მოიგო. 39 წლის პაველოვსკის განზრახული აქვს კვლავ სათავეში ჩაუდგეს პოლონეთის ესპადრონისტთა ძალიან ძლიერ გუნდს მიუნხენის სარბიელზე და თავის მეხუთე ოლიმპიადაში იასპარეზოს.

[illegible] იყო... 19 45

◆ **პრაღა**, 14 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები უკვე შეუდგა წვრთნას 1972-73 წლების სეზონისთვის. ვარჯიშის ასე ადრეულად დაწყება მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ საერთაშორისო შეხვედრების ინტენსიურმა კალენდარმა გამოიწვია. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. პიტნერმა განაცხადა, რომ მისი „ბიჭები უკვე შემოდგომის დამდეგს ეთამაშებიან კანადელ პროფესიონალებს, მერე ორჯერ შეხვდებიან შვეციის ნაკრებს, დეკემბერში კი მოსკოვში, გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე ტრადიციულ ტურნირში გამოვლენ".

### [illegible]

ტაგანროგში გაიმართა სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების პირველობა მძლეოსნობაში. საქართველოს სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ორი რეკორდი დაამყარეს: მ. თათევოსიანმა (მწვრთნელი ო. ლაკერბაი) ჰოკით ხტომაში 5 მეტრი დაძლია და 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მიღწევა. თათევოსიანმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ვ. ნესტერენკომ, რომელიც დამოუკიდებლად ვარჯიშობს, 10000 მეტრზე რბენაში ისახელა თავი: ეს მანძილი 29 წუთსა და 53,8 წამში დაფარა. ეს შედეგი მისსავე რესპუბლიკურ რეკორდზე 19,4 წამით უკეთესია. ნესტერენკომ ტურნირში II ადგილი დაისაკუთრა.

ა. ანდრეევმა ორი გამარჯვება მოიპოვა: 200 (21,9) და 400 მეტრზე (48,4) რბენაში.

ა. მიქოიანი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში II ადგილზე გავიდა — 8.58,3.

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

შედგა I ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი" (ხობი) — „ფერჯარი" (წულუკიძე) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ წურწუმიას მიერ გატანილ ერთადერთ ბურთს დასჯერდნენ.

● „განთიადი" (ბორჯომი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

დაწინაურებულმა „განთიადმა" ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება: ხვედელიძის გოლი გაქვითა პოლტავჩიდიმ, შემდეგ კი ჯობავამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებულია ქობულეთელი თ. მჟავანაძე.

● „მეშახტე" (ტყიბული) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

თამაში საინტერესო გამოდგა. მისი ბედი გადაწყვიტა არმიელთა კარში დანიშნულმა პენალტმა, რომელიც კარგად გამოიყენა გიორგობიანმა.

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გაფრთხილებულია თბილისელი ა. ალანია.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ინიციატივა თამაშის დაწყებიდანვე სამტრედიელებს ჰქონდათ, რომლებმაც მე-13 წუთზე პირველ წარმატებას მიაღწიეს (მესიაჩენკო), შემდეგ კი კოხრეიძემ მეორედ აიღო „ქართლის" კარი. 87-ე წუთზე სტუმრების ერთ-ერთი კონტრიერიში გოლით დაამთავრა გელდიაშვილმა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო გორელმა გ. ჩოჩიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი სისტემატურად არღვევს წესრიგს გათამაშების მატჩებში და უკვე მესამედაა გაფრთხილებული.

● „კახეთი" (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისმა წარმატება მოუტანა სტუდენტებს, რომელთა იერიშები ზუსტი დარტყმებით დაამთავრეს კვარაცხელიამ და ბერდნიკოვმა. შესვენების შემდეგ ინიციატივამ მთლიანად „კახეთის" მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ თელაველთა შეტევებიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა საპასუხო გოლით (თვალიაშვილი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სამცხე" (აწყური) 2:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „კახეთი" (თელავი) — „სულორი" (ვანი) 0:1. მსაჯი ა. ქუთათელი (თბილისი).

ვანელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ნეფარიძის გოლის წყალობით.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „გიგანტი" (ლაითური) 0:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ლაითურელთა ერთ-ერთი შეტევისას, მე-15 წუთზე, „ვარკეთილის" მცველმა ჯავახიშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ხოლო ტაიმის დასასრულს ანგარიში გაზარდა სალუქვაძემ.

● „დინამო" (ზუგდიდი) — „იბერია" (ხაშური) 3:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ძალიან ცუდად ითამაშეს „იბერიის" მცველებმა და განსაკუთრებით მეკარე ტალახაძემ. სამი „მშრალი" ბურთი ხაშურელთა კარში გაიტანეს დარასელიამ, ზვანბაიამ და კემულარიამ.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—„ლოკომოტივი" (თბილისი) 2:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ივრისი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

● „სამცხე" (აწყური) — ასკ (თბილისი) 3:2. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„გარისი" (თეთრი წყარო) — „მევენახე" (ბოლნისი) 0:2, „კოლმეურნე" (ტიბაანი) — „შევარდენი" (თბილისი) 2:3, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „თრიალეთი" (წალკა) 4:0, „ცისკარი" (სიღნაღი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0, „ავტომობილისტი" (ცხინვალი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 5:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, „ფარძია" (ასპინძა) — „მევენახე" (ბოლნისი) 1:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „შირაქი" (წითელი წყარო) 2:1, „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „მევენახე" (გაზისუბანი) 4:2.

#### II ზონა

„ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „მზიური" (გალი) 2:0, „დინამო" (ქუთაისი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:2, „კომეტა" (ფოთი) — ხის დამამუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:2, „დიოსკურია" (სოხუმი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:2, „სქური" (წალენჯიხა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:2, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „კომეტა" (ფოთი) 1:2, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კახაბერი" (ხელვაჩაური) 2:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:2.

ადიგენის „განახლებას" მოგება ჩაეთვალა აბაშის „განთიადთან" შეხვედრაში.

## მოტოკროსის ტრასაზე

დოსააფის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა სოხუმში მოაწყო შეჯიბრება მოტოკროსში, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, ტყვარჩელისა და სოხუმის ავტო-მოტო და სპორტულ-ტექნიკური კლუბები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლების ავტო-მოტოკლუბის სპორტსმენებმა.

პირად ტურნირში 175 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით ყველას აჯობა გალელმა ვ. ბელენკომ. „350-ანებით" მოასპარეზეთა შორის თავი ისახელა ი. კაჭარავამ (სოხუმის ავტო-მოტოკლუბი).

ვ. ქობალია, მ. ჩაჩრაძე, სპორტის ოსტატი.

სოხუმი.



საკდესი მოგვითხრობს

# ფინალისტთა ვინაობა ცნობილია

ვილნიუსი, 13 ივნისი. „ბალტიის თასზე“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ქვეჯგუფებში შეხვედრები უკვე დამთავრდა. პირველი ქვეჯგუფის გუნდების შეჯიბრების II ტურში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ფინეთის გუნდი — 25:9 (15:2), ხოლო გდრ-ის კოლექტივმა მოუგო დანიელებს — 14:11 (7:5).

მეორე ქვეჯგუფში II ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: გფრ — პოლონეთი 12:13 (6:7), შვეცია — სსრ კავშირი II — 16:12 (8:5).

დღეს ქვეჯგუფებში ბოლო შეხვედრები გაიმართა. I ქვეჯგუფი. სსრ კავშირი I — გდრ 11:13, დანია — ფინეთი 21:5; II ქვეჯგუფი. გფრ — შვეცია 12:10, სსრ კავშირი II — პოლონეთი 17:16.

ამგვარად, ფინალურ ოთხეულში გავიდნენ გდრ, სსრ კავშირი I, გფრ და შვეცია. ამათგან, „ოქროს“ 2-2 ქულით ფინალში მოხვდნენ გდრ-ისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები.

V-VIII ადგილებისთვის იბრძოლებენ სსრ კავშირის მეორე ნაკრები, ფინეთის, პოლონეთისა და დანიის გუნდები. ამ სანუგეშო ტურნირის მონაწილეთაგან 2-2 ქულა აქვთ სსრ კავშირის მეორე ნაკრებს და დანიის ეროვნულ გუნდს.

ასპარეზობის მონაწილენი გათამაშების ბოლო ეტაპებსაც წრიული სისტემით ჩაატარებენ.

**ხელბურთი**

# ტურისტული ბილიკებით ვულკანებისკე[ნ]

კამჩატკელი ტურისტებისა და მთამსვლელების ხუთი ჯგუფი გაეშურა კამჩატკის სამხრეთით მდებარე კორიაკსკისა და ავაჩინსკის ვულკანების სალაშქროდ. ერთი ჯგუფი შედგება ტურიზმის ინსტრუქტორების სკოლის მსმენელთაგან. ავაჩინსკის ვულკანზე (2751 მ) ასვლით იგი დაასრულებს თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსს. ორმოცდაათი კაცი — მუშები, სტუდენტები, საზღვაო სასწავლებლის კურსანტები მიიღებენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორის წოდებას. შემდეგ ზაფხულში, შვებულებისა და არდადეგების დროს, ნახევარკუნძულის ტურისტული მარშრუტებით ისინი გაუძღვებიან მოგზაურობის მოყვარულთა ჯგუფებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან.

— წლევანდელი ტურისტული სეზონი კამჩატკაზე განსაკუთრებით საინტერესო იქნება, — უთხრეს საკდესის კორესპონდენტს ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოში. — ზაფხულში ნახევარკუნძულზე გაიხსნება სამი დიდი მარშრუტი: გეიზერების ხეობის, კარიმის მოქმედი ვულკანისა და ცხელი წყაროების პარატუნის კასკადის რაიონებში. თითოეული ეს მარშრუტი თავისებური და განუმეორებელია.

ტურისტები მსოფლიოს ერთ-ერთ საკვირველებას ეძახიან გეიზერების ხეობას. თვალწარმტაც კლდეებს შორის ორნახევარი კილომეტრის სიგრძეზე განლაგებულია ოცზე მეტი დიდი და ბევრი პატარა გეიზერი. ხეობის ძირი და ფერდობები დაფარულია ცხელი წყაროებით, ტალახის ქვაბურებით. გასაოცარი სილამაზისა და ფორმისაა გეიზერიტები — მინერალური ნალექები გეიზერების ახლოს.

თერმული წყაროები, ცხელი ტბა ვულკანის კრატერში, გრაციოზული სოჭის ჭალა, გაშიშვლებული მინქაფი და ფრინველის ბაზრები წყნარი ოკეანის ნაპირებზე — აი, არასრული სია იმ ღირსშესანიშნაობებისა, რომლებიც ტურისტებს ელით საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდ, კრონოცკის სახელმწიფო ნაკრძალში, რომელიც 200 კილომეტრზე მეტ მანძილზეა გადაჭიმული.

ტურიზმის საბჭომ შეიმუშავა წრიული მარშ-
რუტის რამდენ[...]
ანტი. მოგზაურ[...]
ყვარულთა წინ[...]
იშლება დიდებ[...]
ხაობა: კარიმის [...]
ნის ამოფრქვევ[...]
სებურია სხვა [...]
ტიც — ცხელი [...]
ბის პარატუნ[...]
დი. ქვეით-საა[...]
14-დღიან ლა[...]
ტურისტები [...]
ნახევარკუნძულ[...]
მეორებელ ფლ[...]

# ოლიმპიური ასპარეზი გუშინ, დღეს, ხვალ...

როგორი იქნება პლანეტის მთავარი სტადიონი — ოლიმპიური სარბიელი რვა წლის შემდეგ? ოცი წლის შემდეგ? ეს შეკითხვა შეიძლება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ... ვინ იფიქრებდა 1960 წელს რომში, რომ უკვე რვა წლის შემდეგ მეხიკოში მორბენლები სტარტს აიღებდნენ უჩვეულო მასალით — ტარტანით დაფარულ ბილიკებზე, რომ მასზე გამარჯვებისთვის საჭირო გახდებოდა რბენის ახალი ტექნიკა, ახლებური ფეხსაცმელი, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალი ტაქტიკაც.

მე დავესწარი მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიურ სოფელში საწვრთნელი სტადიონის ტარტანის ბილიკზე ერთი წრის გარბენა ვცადე, საოცარი შეგრძნება იყო. ბილიკი თითქოს ზემოთ ისროდა ფეხს, თვითონ „მიჰყავდი“, თანაც ოდნავ რომ გაგეზარდა რბენის ტემპი, უფრო ენერგიულად „გიბიძგებდა“ წინ.

... ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე ალბათ ყველაზე პოპულარული ფეხსაცმლის მაღაზია იყო, სადაც იყიდებოდა ცნობილი დასავლეთგერმანული ფირმა „ადიდასის“ ნაწარმი. სპორტსმენები, რომლებიც წინასწარ შეჯიბრებებში მაღალ შედეგებს ვერ აჩვენებდნენ, მიდიოდნენ ამ მაღაზიაში და ახალ ფეხსაცმელს ყიდულობდნენ. რაშია ამ პოპულარობის საიდუმლოება? „ადიდასის“ პატრონმა ა. დასლერმა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიგო, რომ ასპარეზობა ახალი მასალით დაფარულ ბილიკებსა და სექტორებში გაიმართებოდა. ფირმის სპეციალისტებმა და ექსპერტმა-სპორტსმენებმა დაადგინეს, რომელი ფეხსაცმლით უფრო შეეძლებათ სპორტსმენებს მეხიკოში მაღალი შედეგების ჩვენება. გამოირკვა, რომ მორბენლის ფეხსაცმელს ქაცვები ახლებურად უნდა ჰქონდეს განლაგებული — ჯგუფ-ჯგუფად. თვითონ ქაცვები უფრო მოკლე და წვრილი უნდა იყოს. ექსპერიმენტი „კლასიკურად“ ჩატარდა — ერთმა და იმავე მორბენალმა 100 მეტრი ერთნაირ პირობებში „ძველი“ და „ახალი“ ფეხსაცმლით გაირბინა. შედეგი განსხვავებული იყო 0,1 წამით!

როგორც გასულ წლებში, სპეციალისტები დიდ დროს უთმობდნენ წინდოვანი ბილიკების სრულყოფას, რომლებიც თანდათან კლინკერულად გარდაიქმნა. დღესაც მიმდინარეობს მუშაობა პოლიურეთანის საფარზე. მიუნჰენში მძლეოსნები უკვე ახალ, რეკორტანის ბილიკებზე იასპარეზებენ (ეს მასალა თავისი წინამორბედისგან განსხვავდება მეტი სიმტკიცით, ისეთი დრეკადი არ არის და სპორტსმენისგან უფრო დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს). სხვათა შორის, ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერად ითვლება კიეველი ვ. ბორზოვი, მეტად ღონიერი სპორტსმენი.

უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები საფეხბურთო სტადიონებისთვის სინთეტური საფარის შესაქმნელად. ხელოვნური ბალახის გაზონი შეკრეჭას არ მოითხოვს, ხარისხით იგი მინდვრის ნებისმიერ ადგილზე ერთნაირია. ამას გარდა, დაზიანებული მონაკვეთი შეიძლება უბრალოდ ამოიჭრას და შეიცვალოს.

მთლიანად სინთეტური საფეხბურთო მინდორი პირველად ამ ათი წლის წინ ამერიკელებმა მოამზადეს, რაც რამდენიმე ასეული ათასი დოლარი დაჯდა და კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა. აი, მთავარი საწინააღმდეგო მოსაზრებები: მეკარეებს მინდორი არ მოსწონთ ძირითადად იმის გამო, რომ დაბალი ბურთის ასაღებად გადახტომის დროს „სწვავთ“. მცველებიც წინააღმდეგი არიან, რადგან მშრალ მინდორზე მეტოქის ფეხებში ყოველი „ჩაწოლა“ მთავრდება „დამწვრობით“. თანაც, წვიმის დროს სინთეტური ბალახი ნესტიანდება და ისე სწრაფად ვერ შრება, როგორც ბუნებრივი.

ამჟამად სპორტსმენები ხელოვნურ მინდვრებზე უფრო ხშირად იღებენ ტრავმებს, ვიდრე ბუნებრივ ბალახზე (ზემოაღნიშნული „დამწვრობის“ გამო). ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფეხბურთი ისევ ბალახის სტადიონებს დარჩება? რასაკვირველია, არა. სინთეტურ მინდვრებს სრულყოფენ და მოვა დღე, როცა მათი მინუსებიც გაქრება.

ცურვაში თუ შეიძლება სიახლის გამოგონება? წყალი ყველგან დაახლოებით ერთნაირია, აუზებიც სტანდარტულია — 50 მეტრის სიგრძისა. და მაინც... არ მიგიქცევიათ ყურადღება პატარა შენიშვნებისთვის, რომლებიც ამ ბოლო დროს ხშირად ჩნდება სპორტულ ინფორმაციებში: „შედეგი ნაჩვენებია აუზში ზღვის წყლით“? თურმე აუზს ზღვის წყლით არსებითი უპირატესობა აქვს — მასში წყლის სიმკვრივე შედეგზე გავლენას ახდენს. როცა მოცურავე სასტარტო კოშკურიდან წყალში ხტება, იგი მეტრ-მეტრნახევრით იძირება, ზღვის წყალი კი უკეთ „ამოაგდებს“ სპორტსმენს და ასევე უკეთ „უჭირავს“ იგი ზედაპირზე, ვიდრე მტკნარ წყალს.

მეხიკოში მოვუსმინე, როგორ განიხილავდა ოლიმპიადის ერთ-ერთ დღეს საბჭოთა მოცურავეების გამოსვლებს გეგმას სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზ. ფირსოვი მწვრთნელებთან ერთად. „დილით მნიშვნელოვანია მხოლოდ ფინალში მოხვედრა. წილისყრა კარგად ჩატარდა, მაგრამ საჭიროა ყურადღებით ვიყოთ, შედეგებს თვალი ვადევნოთ. გაპარსვა საღამოს“. ხომ უცნაურად ჟღერს — „გაპარსვა საღამოს“? დიახ, მოცურავეები იპარსავენ მკერდს, ფეხებს, ხელებს. ეს კეთდება ისევ შედეგის გაუმჯობესებისთვის. თურმე სრულიად უმნიშვნელო თმის საფარი წამის რამდენიმე მეათედს „ნთქავს“. ამას გარდა, სხეული უკეთ სრიალებს წყალში, როცა კანი იოლად და მთლიანად სველდება.

ოლიმპიურ აუზში ერთ-ერთი [...]
ლაზე პოპულარული პიროვნება [...]
პირმრგვალი, მსუქანი, მაგრამ არაჩვ[...]
ულებრივად მოძრავი კაცი, რომელ[...]
რაღაც სასწაულით მოხვდა მონაწ[...]
ლეთა ადგილებზე. მის გვერდით მუდ[...]
იდო დიდი სპორტული ჩანთა, რო[...]
მელიც პირთამდე იყო სავსე საბანა[...]
კოსტიუმებითა და... სასტარტო ო[...]
მებით. იგი აღნიშნავდა, რამდენი ოლ-
იმპიური ჩემპიონი და პრიზიორი [...]
მოდიოდა „სპიდოს“ ფირმის წით[...]
ისრიანი ფორმით, პატარა ემბლემ[...]
რომელშიც ოქროსფერი ირემი [...]
ჩახატული. გამოირკვა, რომ გამარ[...]
ვებულთა 85 პროცენტი „სპიდოს“ [...]
წარმით გამოდიოდა. რა იყოს ამ[...]
მიზეზი? ფერთა ლამაზი შეხამებ[...]
არა. „სპიდო“ კოსტიუმებს წმინ[...]
ნეილონისგან ამზადებს, თანაც ქს[...]
ვილი ისეა გაკეთებული, რომ, რო[...]
დასველდება, ტანს მჭიდროდ ეკვ[...]
და არ იწოვს დამატებით ხახუნს, [...]
გალითად, სატინისგან განსხვავებ[...]
თითქოს რა დიდი ბედენაა ეს, მა[...]
რამ...

1960 წელს რომში სიგრძეზე ხტ[...]
მაში გამარჯვებულს ვერცხლის პრ[...]
ზიორისგან მხოლოდ 1 სანტიმეტ[...]
აშორებდა. ახლა, ცხადია, არავინ ა[...]
რებს ეჭვის თვალით შეხედოს მაშ[...]
დელ გაზომვებს, მაგრამ... ო[...]
აბსოლუტურად ერთნაირი ნახტომ[...]
დროსაც კი შედეგები შეიძლება [...]
სანტიმეტრით განსხვავდებოდეს. მი[...]
ზია სხვაობა კუთხეებისა, რომლით[...]
მხტომელის ფეხები ორმოში ქვიშ[...]
ზედაპირს ეხება. მძლეოსნობის ე[...]
ერთმა ექსპერტმა, დიდი ბრიტანე[...]
ნაკრების ხელმძღვანელმა ა. გოლ[...]
შეიმუშავა მეტად ორიგინალური, [...]
მცა ძალიან ძვირი დანადგარი მხტ[...]
მელთა შედეგების გასაზომად: ორ[...]
ერთ მხარეს, ქვიშის ზედაპირის [...]
ნეზე ერთსანტიმეტრიანი ინტერვალ[...]
დგამენ ლაზერის კონების წყარო[...]
მეორე მხრიდან კი ფოტოელემენტ[...]
ელექტრული მოწყობილობა ზუსტ[...]
აღნიშნავს უკანასკნელ „გადარჩენი[...]
სხივს.

ცნობილი ამერიკული კომპა[...]
„ზმ“ დიდ მუშაობას ეწევა უნივ[...]
სალური საფარების შექმნისთვის. [...]
სპერიმენტული მინდორი უკვე და[...]
ბულია ნიუ-იორკის მახლობლად, [...]
ფსტრის უნივერსიტეტის დარბაზ[...]
სწორედ ამ დარბაზში გამოვიდნენ [...]
ბჭოთა ათლეტები—თავისუფალი ს[...]
ლის მოჭიდავეები. საწვრთნელ მ[...]
დინეობებზე ისინი თამაშობდნენ ფ[...]
ბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს [...]
ყველამ ძალიან აქო ახალი საფა[...]
რომელიც ბევრ რამეში სჯობს ხის[...]

საერთოდ, ბოლო ათწლეული სპ[...]
ტში შედეგების მკვეთრი ზრდით, [...]
რეთვე, მეცნიერებისა და ტექნიკის [...]
ღწევების ასევე სწრაფი დანერგ[...]
აღინიშნა. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ [...]
პროცესის შემდგომი განვითარების [...]
წმენი გავხდებით სულ ახლო მომა[...]
ლში, როცა მეცნიერების მიღწევ[...]
კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ა[...]
მიანს საკუთარი შესაძლებლობ[...]
უკეთ გამოვლენაში.

ვ. კუკუშკი[ნი]

## ზაფხულის ოლიმპიადა წარმოგიდგენს



მთავარი სტადიონი მიუნჰენშია...

გაიხსნა მთავარი ოლიმპიური სტადიონი მიუნჰენში. სპორტის მოყვარულებს შეეძლოთ მისი ნახვა ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით. სარბიელის გახსნა შესთავაზეს სსრ კავშირისა და გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს, რომლებიც ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს.

80000-ადგილიანი ახალი სტადიონი ფორმით მსოფლიოს სხვა უდიდეს სტადიონებზე ნაკლებ ოვალურია, იგი უფრო წრეს მოგვაგონებს. სტადიონის სიგრძე 260 მეტრია, სიგანე — 240. უდიდესი მანძილი სტადიონის ცენტრიდან ტრიბუნის ყველაზე მაღალ ადგილამდე 140 მეტრია.

მიუნჰენის ოლიმპიური სტადიონი დასავლეთ გერმანიაში პირველია, რომლის მწვანე მინდორი გათბება მიწის ქვეშ 25 სანტიმეტრის სიღრმეზე მოთავსებული სპეციალური დანადგარის დახმარებით. მილები, რომლებშიც თბილი წყალი მიედინება, პლასტიკური მასალისგანაა დამზადებული და მათი საერთო სიგრძე 19 კილომეტრს შეადგენს. უნიკალურია გიგანტური გამჭვირვალე წინაფარა, რომელიც ტრიბუნებსა და მაყურებლებს წვიმისგან დაიფარავს.

არის კიდევ ერთი სიახლე: მინდვრის გარშემო აგებულია „სარეპორტიორო არხები“. ოლიმპიადის დროს „არხებში“ მოთავსდებიან ფოტორეპორტიორები, რომლებიც აქედან მშვენივრად ადევნებენ თვალს შეჯიბრებებს და მაყურებლებს ხელს არ შეუშლიან. ამასთანავე, „არხები“ შეიძლება თავისებურ ზღუდედაც იქცეს ზედმეტად ექსპანსიური გულშემატკივრებისთვის, რომლებიც სტადიონის მინდორზე გაჭრას მოინდომებენ.

სპეციალისტები ამბობენ, რომ მიუნჰენის სტადიონი ჩინებული ნაგებობაა, მაგრამ პრესაში აღნიშნავენ მის ზღაპრულ ღირებულებასაც — 81 მილიონ მარკას.

ი. მასლოვი.

მიუნჰენი.

## სამბა, მამბო, ბოსანოვა

მიუნჰენის ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების დელეგაციების საზეიმო აღლუმის დროს მონაცვლეობით დაუკრავს ორი ორკესტრი თითოეული 25 მუსიკოსის შემადგენლობით. ამ „კონცერტისთვის“ მზადებას წელიწადნახევარი დასჭირდა.

სამბას, მამბოს და ბოსანოვას მელოდიები აჟღერდება, როცა სტადიონის ბილიკზე ლათინური ამერიკის სპორტსმენები შემოვლენ. აფრიკელებს ტამტამებისა და დოლების ხმა შეეგებება, ინდოეთის წარგზავნილთათვის შესწავლილია მელოდია, რომელსაც ეროვნულ სიმებიან ინსტრუმენტზე შეასრულებენ. საბჭოთა ნაკრებს სპეციალური კომპოზიცია დახვდება, ხოლო ინგლისელებს მიესალმება... სტვირი.

ორივე ორკესტრს ხელმძღვანელობს დიდი ჯაზური ორკესტრების დირიჟორი, კიოლნელი კ. ედელჰაგენი. როგორც ხელმძღვანელი ამბობს, მზადება მეტად ძნელი გამოდგა. მაგალითად, თუ მექსიკელთათვის ცეკვა „სომბრეროს“ ეროვნული მელოდიის პოვნა იოლი იყო, ლუქსემბურგის ან ლიხტენშტაინის ტიპიური მუსიკის საკითხი არა მარტო სპეციალურ ცოდნას, არამედ დიპლომატიურ ტაქტსაც მოითხოვდა. ამ ქვეყნებში, ისევე როგორც მრავალ სხვა სახელმწიფოში, სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და ყველას თავისი მუსიკა აქვს. ასეა თუ ისე, აღლუმის მუსიკალური გაფორმება მთელი მსოფლიოს მელოდიების თავისებური კონცერტი იქნება.

# სარბიელი — მთელი საბჭოთა ქვეყანა

სამხრეთ ურალის ბილიკებზე ორკვირიანი ველოლაშქრობა დაიწყო შიაულიაის ტურისტული კლუბის ჯგუფმა, რომელიც ლიტვის ჩემპიონატში მონაწილეობს.

ეს უკვე მეშვიდე წელია ლიტვის ჩემპიონატი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ტარდება. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ტყის ბილიკებითა და ტბების ლაბირინთებით მდიდარ ლიტვაში თითქოს არ არის ისეთი ადგილები, სადაც სპორტსმენები სიმამაცისა და ოსტატობის გამოჩენას შეძლებენ.

— შორეული ლაშქრობები ჩვენს ტურისტებს ეხმარება მოძმე ხალხების მიღწევების უკეთ გაცნობაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ლიტვის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ცინიავიჩიუტემ. — ყოველწლიურად ასზე მეტ ჯგუფს ვგზავნით სხვა რესპუბლიკებში. ეწყობა მეოთხე და მეხუთე კატეგორიების სირთულის ქვეითი, სათხილამურო, ველო, საწყლოსნო, სამთოქვეითი და ავტო-მოტოლაშქრობები.

წლეულს პანევეჟისის სელის კომბინატის მუშებმა სათხილამურო ლაშქრობა მოაწყვეს კოლის ნახევარკუნძულზე. ამ მხარის მდინარეებზე ლაშქრობას აპირებენ ვილნიუსის ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. ამჟამად შუა აზიის ბილიკებზე შეხვდებით ვილნიუსის რადიოსაზომ ხელსაწყოთა ქარხნის მოტოციკლისტებს. ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები — მომავალი ისტორიკოსები და გეოგრაფები ყარა-ყუმის უდაბნოში მოგზაურობენ. ასე რომ, ლიტვის ტურისტთა პირველობის სასტარტო მოედნად მთელი საბჭოთა კავშირი შეიძლება ჩაითვალოს.

ტურისტებს შორეული მოგზაურობებიდან ჩამოაქვთ საინტერესო დღიურები, კინოფირები, ფოტოალბომები. ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს მეთოდურ კაბინეტში უკვე დიდძალი ასეთი მასალაა თავმოყრილი.

ვილნიუსი.

ფაუნას. ისინი გაივლიან ბალახიან ჯუნგლებში, ნახავენ იშვიათ სანახაობას — ორაგულის ქვირითის ყრას.

ნახევარკუნძულზე მომზადებულია რვა საექსკურსიო მარშრუტიც. ტურისტები გაეცნობიან კამჩატკის პეტროპავლოვსკის ისტორიულ ძეგლებს, ისეირნებენ ავაჩინსკის ყურეში.

**მ. ძილინი.**

კამჩატკის პეტროპავლოვსკი.

# ლენინგრადი, მოსკოვის რაიონი...

ლენინგრადში, მოსკოვის რაიონის გამარჯვების პარკში მოეწყო მასობრივი მძლეოსნური კროსი, რომელშიც პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული მუშაკებიც მონაწილეობდნენ. ბევრმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელმძღვანელთა მონაწილეობა კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, — თქვა პარტიის მოსკოვის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. უტკინმა, — სპორტული კოლექტივების საჭიროებათა უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება.

ლენინგრადში ეს რაიონი ერთ-ერთი პირველია, სადაც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით აქტიური მასობრივ-სპორტული და ფიზკულტურული მუშაობა დაიწყო. მის გამოცდილებას უკვე ეცნობიან არა მარტო ლენინგრადის სხვა რაიონების, არამედ სხვა ქალაქების წარმომადგენლებიც.

რაიონში 149 სპორტული კოლექტივია. ბოლო წლებში ტრადიციად იქცა სხვადასხვა მასობრივი შეჯიბრება. ჯანმრთელობის ჯგუფებში უკვე 2 ათასამდე კაცი და ქალია ჩაბმული. პოპულარულია მოთხილამურეთა ტურნირი, რომელიც ასეთი დევიზით ტარდება — „დედა, მამა და მე".

პირველი სპეციალიზებული სპორტული კლუბები რაიონში ამ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა, ახლა კი მათი რიცხვი 14-მდე გაიზარდა. ამ კლუბებში 7 ათასზე მეტი ადამიანია გაერთიანებული.

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივმა აღმზრდელობითმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ სპორტის მეშვეობით სულ იოლად შეიძლება მოზარდის „რთული" გულის დაპყრობაც. მაგალითად, სპორტულ კლუბებში სწორედ ასეთი „რთული ბუნების" ჭაბუკები ჩააბეს. ერთი-ორი წლის შემდეგ ეს ბიჭები საზოგადოებას უკვე აქტიურად ეხმარებოდნენ სანიმუშო წესრიგის დაცვისთვის ბრძოლაში.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალმა კომპლექსმა ახალი შესაძლებლობანი გადაუშალა მოსახლეობას. რაიონში უკვე მასობრივად ბარდება ამ კომპლექსის ნორმატივები.

მოზარდების კარგად აღზრდისთვის სახელგანთქმული სპორტსმენებიც ზრუნავენ. მაგალითად, ა. როშჩინი, ე. ვინიკუროვი, მ. და ნ. გუსაკოვები, პ. ვოსტრიაკოვი ხშირად ხვდებიან ახალგაზრდებს სკოლებში, საბინაო კონტორებსა და სპორტკლუბებში. სპორტულ შეჯიბრებებში ისინი მიწვეული არიან მსაჯებად, მწვრთნელებად, აქტიურ პროპაგანდას უწევენ ფიზკულტურასა და სპორტს.

**ბ. ირტიშსკი.**

ლენინგრადი.



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მძლეოსანთა V საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „პრავდის" პრიზებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, კუბის, მონღოლეთის, აშშ-ის და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. სვირიდოვი (სსრ კავშირი) — ცენტრში. მან მოიგო 10000 მეტრზე რბენა — 28.29,6.

ვ. კუზმინის და ვ. ბუდანის ფოტო.



კარელიაში ტურისტული სეზონი დაიწყო. მოსკოვიდან და რსფსრ-ს სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე, ესტონეთიდან, ყაზახეთიდან, ლატვიიდან ჩამოსული პირველი სტუმრები მიიღო რესპუბლიკაში უდიდესმა ტურისტულმა ბაზამ „კოსალმამ".

ტრადიციისამებრ, სტარტი აიღო მასობრივმა ლაშქრობამ ნავებით კარელიის ტბებზე.

წლეულს ტურბაზაში შარშანდელზე ორჯერ მეტი საბჭოთა მშრომელი გაატარებს შვებულებას.

ს უ რ ა თ ზ ე: ნავებით ლაშქრობის სტარტი.

ს. მაისტერმანის ფოტო.

# ჩოკეს ეშმაკობა

ჩილის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე პატარა საკურორტო ქალაქ იკიკეში ჩატარდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატი წყალქვეშ ნადირობაში.

შეჯიბრებაში 20 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საბჭოთა კავშირიდან ტურნირს მხოლოდ მეთვალყურეები ესწრებოდნენ. თითოეული გუნდის შემადგენლობაში კაპიტანი, სამი მონაწილე და ერთი სათადარიგო სპორტსმენი შედიოდნენ. დებულება გუნდის წევრებს ორ მოთხოვნას უყენებდა: ასაკი 18 წელი მაინც და, სულ ცოტა, სამ წელიწადს ცხოვრების „სტაჟი" იმ ქვეყანაში, რომლის სახელითაც გამოდიოდნენ.

იკიკეს რაიონი შემთხვევით არ შეურჩევიათ. სანაპიროზე აქ ბევრია პლანქტონი, რომელსაც, როგორც ცნობილია, თევზები საკვებად იყენებენ. კუნძულებთან შეიძლება შეხვდეთ თინუსს, შიმშერს, განთქმულ წყნარი-ოკეანურ ქაშაყს, თეთრ სარდინს. რიფებში ბინადრობენ გიგანტური ქორჭილა, კუზა თევზი, დიდრონი ზღვის იაღლები.

ჩილის მთავრობამ მსოფლიოს VIII ჩემპიონატს დიდი ყურადღება დაუთმო. შეჯიბრების მსვლელობის დროს იკიკეში ჩავიდა პრეზიდენტი სალვადორ ალენდე. იგი ჩემპიონატის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა. ტურნირს მთელი ფლოტი ემსახურებოდა — 150 სხვადასხვა გემი, ძრავიანი ნავები და კატარღები.

სპორტსმენები წინასწარ გაეცნენ შეჯიბრების ზონას — წყნარი ოკეანის სიგრძით 20 და სიგანით 5 საზღვაო მილის მოცულობის უბანს, რომლის სიღრმე 1-დან 20 მეტრის ფარგლებში მერყეობდა.

თითოეულ გუნდს გამოყოფილი აკვატორიის ფარგლებში უნდა აერჩია უბანი, ოღონდ იმ პირობით, რომ კანჯოებს შორის მანძილი 50 მეტრზე ნაკლები არ ყოფილიყო.

ყოველ კანჯოს ჰყავდა სპორტული კომისარი (მსაჯი). მის მოვალეობაში შედიოდა წყალქვეშა მონადირეებისგან თევზის მიღება, ოქმის შედგენა, სპორტსმენთა უსაფრთხოების დაცვა (კანჯოში აკვალანგი ჰქონდათ).

ვინაიდან შეჯიბრება პირად-გუნდური იყო, აიკრძალა დაჭერილი თევზების გუნდის სხვა მონაწილისთვის გადაცემა. გამონაკლისის დაშვება მხოლოდ საფრთხის დროს შეიძლებოდა.

ოკეანის ღელვის გამო მხედველობის არე წყალში 1-2 მეტრი იყო, წყლის ტემპერატურა — 14 გრადუსი. ბევრი გუნდი ამისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა.

შეჯიბრების ზონას კარგად მხოლოდ მასპინძლები იცნობდნენ. ამიტომ თითქმის ყველა გუნდი სტარტის შემდეგ ჩილის წარმომადგენელთა გარშემო შეჯგუფდა, რა თქმა უნდა, დაწესებული მანძილის დაცვით. ჩილის გუნდმა, როგორც ჩანს, ეს ვარიანტი გაითვალისწინა და სპეციალურად ისეთ ადგილზე ნადირობდა, სადაც თევზი არც ისე ბევრი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩილის გუნდის წევრი რაულ ჩოკე სხვა სპორტსმენებს შეუმჩნევლად გამოეყო და ნადირობა მხოლოდ მისთვის ცნობილ ხელსაყრელ ადგილას განაგრძო.

ჩემპიონატის პირველ დღეს სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა ჩოკე. მან მოინადირა 63 თევზი, რომელთა საერთო წონა 153 კგ და 100 გრამი აღმოჩნდა. ნადირობა ექვს საათს გაგრძელდა, ჩოკე ყოველ საათში დაახლოებით ათ თევზს იჭერდა, საშუალოდ 2,5 კგ წონით.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ II ადგილზე აღმოჩნდა ჯონ ერნსტი (აშშ), რომელმაც 62 თევზი დაიჭირა (143 კგ და 400 გრ).

ჩოკემ შეჯიბრების მეორე დღესაც იმარჯვა — ხელთ იგდო 64 თევზი (125 კგ და 450 გრ).

ნადირობის შედეგები შემდეგნაირად აღირიცხებოდა: 1 ქულა თევზის ყოველ ერთ გრამზე, 100 ქულა დამატებით ყოველ მოპოვებულ თევზზე. ჩასათვლელი თევზის მინიმალური წონა 1 კგ, მაქსიმალური კი 30 კგ იყო.

1 კგ-ზე ნაკლები თევზი ჩათვლაში არ შედიოდა, 30 კგ-ზე მეტი კი 30 კილოგრამად ითვლებოდა.

ყველაზე დიდი აღმოჩნდა თევზი, რომელმაც 8 კგ აიწონა. ჩემპიონატის გენერალურმა დირექტორმა კლაუდიო კასტრო ხონასმა გამოაცხადა, რომ I ადგილი ჩილის გუნდმა მოიპოვა. მისი შედეგი იყო 773900 ქულა. II ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 645550 ქულა, III — იტალიამ — 640750.

28 წლის რაულ ჩოკე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მან ორ დღეში 405550 ქულა მიიღო.

**ო. ფრანცევი,**

საბჭოთა კავშირის წყალქვეშა სპორტული სროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

△ **ტურინი.** სტუდენტ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ე. მენეამ 200 მეტრზე რბენაში იტალიის რეკორდი დაამყარა — 20,4. ასეთივე წარმატებას მიაღწია დე ვისენტისმაც, რომელმაც ბადრო 61,16 მეტრზე ტყორცნა.

△ **ადის-აბება.** ეთიოპიის მძლეოსნობის ფედერაციამ დააწესა მარათონულ რბენაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ა. ბიკილას სახელობის პრიზი, რომელიც გაისიდან სეზონში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენს გადაეცემა.

△ **მილანი.** ადგილობრივი „სიმენტალის" კალათბურთელმა ვაჟებმა იტალიის ჩემპიონობას ქვეყნის თასიც დაუმატეს, როცა აქ ფინალურ მატჩში სძლიეს ვარეზეს „ინისს" — 81:77.

△ **ლონდონი.** „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასის აფრიანი ნავებით აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ჰ. ჰაუტნერმა (გდრ) იმარჯვა. II და III ადგილებზე მასპინძლები ე. უაიტსტეიბელი და დ. მუსტო გავიდნენ.

△ **პრაღა. ჭადრაკში ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი გახდა 14 წლის ზ. ლორნაკოვა.**

△ **რომი.** აქ გაიმართა იტალიისა და იუგოსლავიის ტანვარჯიშში ქალთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 349,75:346,1. პირად ტურნირში იმარჯვა იუგოსლაველმა მ. შლეპიცამ — 73,25 ქულა.

△ **ვიშელი.** ადგილობრივ აუზში გაიმართა საფრანგეთის მოცურავეთა შეჯიბრება. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდსმენს მ. რუსოს ამ რეკორდის (52,7 წამი) გამეორებისთვის 0,1 წამი არ ეყო.

# ისევ ედი მერქსი!

დამთავრდა მრავალდღიანი ტრადიციული საერთაშორისო ველორბოლა „ჯირო დ'იტალია". I ადგილი დაიკავა სახელგანთქმულმა ბელგიელმა პროფესიონალმა მრბოლელმა ედი მერქსმა.

(საქ. ინფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი 72

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ტრადიცია დაირღვა

მოსკოვი. 11 ივნისი.

სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 7:9 (3:3).

სამხედრო-საჰაერო აკადემია: დიმიტრიჩევი, ჩუვიჩალოვი, სვირიდოვი, ნაპოლნოვი, ერმაკოვი, ალიოშინი, ვლადიმიროვი, გუკალოვი, პოლიაკოვი, ანტონოვი, ა. ჟერებკო, მგელაძე, ე. ჟერებკო, პროშინი (მალიშევი), კირსანოვი.

„ლოკომოტივი": აიწურაძე, ნაცვლიშვილი, ცხვედიანი, სანებლიძე, რეხვიაშვილი, კემულარია, ბენდიაშვილი, თემურ რუხაძე, ხარშილაძე, კილასონია, გეგეშიძე, ფურცელაძე, მიქაბერიძე, თენგიზ რუხაძე, აბაშიძე (კაპანაძე).

მსაჯი ა. დანილოვი (მოსკოვი).

რეგბისტთა V საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში ერთმანეთის პირისპირ სამხედრო-საჰაერო აკადემიისა და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდები წარსდგნენ. ქართველ რეგბისტებს დღემდე არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ დაუმარცხებიათ ჩემპიონი. ახლა სხვაგვარად მოხდა.

... შეხვედრის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ მაყურებელთა აღტაცებული ყიჟინი გაისმა: თბილისელთა ჩათვლის მოედანზე ბურთი დადო გრიგორიანცმა... ეს იყო იმიტაცია — მასპინძლებიც და სტუმრებიც საზეიმოდ აცილებდნენ რეგბისტთა ყველა ჩემპიონატის პირველ ბომბარდირს, ამჟამად მოსკოვის „დინამოს" მწვრთნელს ა. გრიგორიანცს, რომელიც უკანასკნელად გამოვიდა თავისი გუნდის შემადგენლობაში.

რკინიგზელებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს მეტოქის ჩათვლის მოედანს. ნაცადი მეთოდით — მუდმივი შტურმით მასპინძლებს არ მისცეს ძალის მოკრებისა და დაცვის ორგანიზების საშუალება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ შერკინების მოთამაშენი. მოსკოველებმა რეხვიაშვილის გარღვევის შეჩერება მხოლოდ ბოლო მომენტში მოახერხეს.

გამუდმებულმა შეტევებმა თბილისელებს წარმატება არ მოუტანა. ახლა მათ შორიდან სცადეს არეკნით დარტყმით მიზნის მიღწევა, მაგრამ ამაოდ.

მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს. ახლა უკვე მოსკოველები არიან სტუმართა საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები და 25-ე წუთზე დაწინაურებასაც ახერხებენ: ალიოშინმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო — 3:0. ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა თენგიზ რუხაძე მოცელეს და აბაშიძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 3:3.

შეხვედრის განახლებისას მოსკოველებმა რამდენიმეჯერ სცადეს მოედნის ცენტრიდან, კერძოდ, ნახევარდაცვის ხაზიდან შეტევის დაგვირგვინება. ცენტრში თამაშობდა კილასონია, რომელიც ამ ამპლუაში პირველად გამოდიოდა. მასპინძელთა აზრით, იგი ვერ გაუმკლავდებოდა გამოცდილი მოთამაშე მწვრთნელის ანტონოვის იერიშს. თბილისელი გარემარბები დროულად ეხმარებოდნენ თანაგუნდელს. ნახევარდაცვის მოთამაშეებმა ხარშილაძემ, ფურცელაძემ და გეგეშიძემ რამდენიმე კარგი, მწვავე კომბინაცია წამოიწყეს, რითაც მეტოქე აიძულეს განზრახვაზე ხელი აეღო და დაცვაში გადასულიყო.

52-ე წუთი. შერკინება მოედნის შუაგულში ინიშნება. ბურთი ნაცვლიშვილმა იგდო ხელთ. ამ დროს ხშირად თამაშდება მარჯო: ხარშილაძე ნახტომში ბურთის გამოტანის და გადაცემის იმიტაციას ასრულებს. მასპინძლები შექმნილ სიტუაციაში დროით ვერ გაერკვნენ. შერკინების ბურთი გეგეშიძემ გამოიტანა და რეხვიაშვილს საწინააღმდეგო მიმართულებით გადასცა. ამ უკანასკნელმა ჯვარედინი გადაცემით ჩამოიტოვა რამდენიმე მეტოქე, კარის წინ გადააწოდა სანებლიძეს, რომელმაც ბურთი ნახტომით ჩათვლის მოედნის ცენტრში, კარის ძელებს შორის დადო. რეალიზაცია კარგად შეასრულა აბაშიძემ და თბილისელები დაწინაურდნენ — 9:3.

ჩემპიონებმა წაგების საშიშროება იგრძნეს და ტემპს უმატეს. განსაკუთრებით გაძნელდა მგელაძისა და ე. ჟერებკოს იერიშების მოგერიება. მიქაბერიძე ბოლო მომენტში ახერხებს მგელაძის შეჩერებას. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ამავე დუეტის კომბინაციის დროს ჟერებკო კარგად უსხლტება თბილისელებს. გოლი თითქოს გარდუვალია. მაგრამ ბენდიაშვილს თავგანწირული ნახტომით ჟერებკო ბურთიანად გვერდით ხაზს იქით გააქვს. განაწყენებული მასპინძელი მსაჯის სასტვენის შემდეგ აშკარად უხეშად ეთამაშება თბილისელს. სამწუხაროდ, ბენდიაშვილმა ასევე უხეშობით უპასუხა და მსაჯმა იგი მინდვრიდან გააძევა. არ ვამართლებთ თბილისელს, რომელიც დაისაჯა კიდეც: დისკვალიფიცირებულია ერთი თამაშით, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილება მაინც უსამართლო გვეჩვენება — ამ ინციდენტის მოთავე ხომ მასპინძელი იყო.

... მოსკოველები შეტევას აგრძელებენ და მიზანს აღწევენ — ე. ჟერებკოს ბურთის წყალობით ანგარიშში სხვაობა შემცირდა — 7:9.

მეტოქეებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ტემპიანი, ლამაზი, მიმზიდველი თამაშით. თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი შეხვედრა ძლიერად და დამაჯერებლად ჩაატარეს, განსაკუთრებით კარგად ითამაშეს დაცვაში.

რ. აიწურაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# პრიზები — ლამაზი თამაშისთვის

ლენინგრადის ზონის საკურორტო ქალაქ სტარაია რუსაში დამთავრდა „სპარტაკის" VI საკავშირო პირველობა რეგბიში. საასპარეზოდ საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. სარბიელზე გამოვიდნენ საკავშირო პირველობის პირველი ჯგუფის კოლექტივები — კიევისა და მოსკოვის სპარტაკელები, მეორე ჯგუფის წევრები — ნალჩიკის „სპარტაკი" და ლენინგრადის „ავტომობილისტი", აგრეთვე, მოსკოვის „აეროფლოტი", ერევნისა და თბილისის სპარტაკელები.

ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონატში წარუმატებლობის შემდეგ „სპარტაკის" რეგბისტებისთვის „რევანშის" აღების ერთადერთი გზა ეს ტურნირი იყო. მართალია, თბილისელები საპრიზო ადგილზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ ამ სიძლიერის ტურნირში არც IV ადგილია ურიგო. ჩვენმა რეგბისტებმა სამ შეხვედრაში იმარჯვეს, სამი კი წააგეს.

თბილისელებს პირველი შეხვედრა ნალჩიკელ თანაკლუბელებთან ჰქონდათ. ქართველმა სპორტსმენებმა ნალჩიკელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ — 4:23. ნალჩიკის გუნდი (მწვრთნელი ა. ლობჟანიძე) ტექნიკურადაც და ფიზიკურადაც კარგად არის მომზადებული. ამ პირველობაში ნალჩიკელები III ადგილს დასჯერდნენ.

მეორე შეხვედრაში თბილისელებმა „აეროფლოტს" სძლიეს — 16:0.

ტურნირის ყველაზე ლამაზ შეხვედრად აღიარეს თბილისელ და მოსკოველ თანაკლუბელთა თამაში. თბილისელებმა შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგეს (9:3), მეორე პერიოდში კი მთავარი როლი გამოცდილებამ შეასრულა: გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 24:12. სტარაია რუსას კომკავშირის ორგანიზაციამ ტურნირის ყველაზე ლამაზი მატჩისთვის დააწესა სპეციალური პრიზები, რომლებიც თბილისელ და მოსკოველ რეგბისტებს გადაეცათ.

მეოთხე ტურში თბილისელები კიეველებთან დამარცხდნენ — 9:27. სამაგიეროდ, ბოლო ორი მატჩი მათ აღმავლობით ჩაატარეს — მოუგეს ერევნისა (32:0) და ლენინგრადის (22:4) კოლექტივებს.

ფინალურ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა" სძლია კიეველ რეგბისტებს (15:12) და ჩემპიონობაც მოიხვეჭა.

ჩვენი სპორტსმენებიდან თავდასხმის მეორე ხაზის მოთამაშეები ნ. ქარქაშაძე და მ. კოროშინაძე შეყვანილი არიან „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში. მსაჯთა კოლეგიამ აღნიშნა, აგრეთვე, მ. ფირცხალაიშვილის, გ. კოპლაშვილისა და თ. ანდღულაძის კარგი თამაში.

თბილისის გუნდს კორექტული თამაშისთვის საპატიო სიგელი გადაეცა.

დ. თაძთაძიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სტარაია რუსა.




# ისევ საქართველოს ავტომობილისტები!

ამ ერთი თვის წინ საქართველოს ავტომობილისტებმა შ. მამრიკაშვილმა, ვ. გლურჯიძემ, თ. ზახაროვმა, ტ. ქადაგიშვილმა, მ. ლოგინოვმა, გ. თაქაურმა, ა. მარტიროსიანმა, გ. ვარტპატრიკოვმა ლენინგრადში ი. გაგარინის სახელობის პრიზის გათამაშებაში იმარჯვეს. ახლა ჩვენმა სპორტსმენებმა რიგაში, „მიკერნიეკის" ტრასაზე „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატშიც ისახელეს თავი.

საგზატკეცილო რბოლაში სსრ კავშირის ყველა საუკეთესო ავტომობილისტი და ყველა ძლიერი კოლექტივი მონაწილეობდა. გასულ შაბათს ნახევარფინალები მოეწყო, კვირას — ფინალი.

შეჯიბრების ალამი აღმართეს „სპარტაკის" შარშანდელი ჩემპიონატში გამარჯვებულებმა: ლენინგრადელებმა ო. ლისენკომ, ვ. მარკოვსკიმ და თბილისელმა ტ. ქადაგიშვილმა.

ფინალის სტარტზე პირველნი „მოსკვიჩები" მოეწყვნენ. ბრძოლაში 12 მანქანა ჩაება. ასპარეზობა იმდენად დაძაბული იყო, რომ რბოლა დაამთავრა მხოლოდ ოთხმა ყველაზე ტექნიკურმა მძღოლმა, რომელთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ტ. ქადაგიშვილი. წლეულს ეს მისი მეორე დიდი გამარჯვებაა.

მერე ბრძოლაში „ვოლგის", „მოსკვიჩის", „ჟიგულისა" და „ვარტბურგის" ძრავიანი I, II და III ფორმულების სარბოლო ავტომობილები ჩაებნენ. სიგარის მსგავსი მანქანები ოთხკილომეტრიან წრეზე თავბრუდამხვევი სისწრაფით დაჰქროდნენ.

III ფორმულის მანქანებით რბოლაში ბადალი არ ჰყავდა შ. მამრიკაშვილს, რომელმაც გუნდურ ტურნირში საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს პირველი კოლექტივის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (I ფორმულის მანქანებით შეჯიბრებაში იმარჯვა ლენინგრადელმა ს. ფომიჩოვმა, II ფორმულის მანქანებით — კრასნოდარელმა ვ. გრეკოვმა).

ბოლოს სტარტზე „ვოლგები" გამოვიდნენ. თავიდანვე ლისენკო დაწინაურდა და მისი გასწრება ვერავინ შეძლო.

როცა მსაჯთა კოლეგიამ საერთო გუნდური ტურნირის შედეგები შეაჯამა, საქართველოს პირველ ნაკრებს (ქადაგიშვილი, ზახაროვი და გლურჯიძე) ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა. მას გადაეცა „ტრუდის" პრიზი. „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი ჯილდო და საუკეთესო სპორტული კლუბისთვის დაწესებული თასი.

პ. ძიმისტარიშვილი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): ტ. ქადაგიშვილი, ვ. გლურჯიძე და თ. ზახაროვი („ტრუდის" პრიზით) ტურნირის შემდეგ.

ვ. ლიბერტისა და ა. მოსტოვშჩიკოვის ფოტო. („ტრუდი").

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
ფეხბურთი
17 ივნისი
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
„დინამო" (თბილისი) — ოლიმპიური ნაკრები (უნგრეთი)
დასაწყისი 19 ს.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 15 ივნისს, აბონემენტებზე — 15 და 16 ივნისს; საერთო გაყიდვა — 16 და 17 ივნისს, სტადიონის სალაროებში 12-დან 19 საათამდე.

## საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა აცხადებს მიღებას 1972-73 სასწავლო წლისთვის დასწრებულ განყოფილებაზე

სკოლა ამზადებს საშუალო სპეციალური განათლების მწვრთნელ-მასწავლებლებს.

სკოლაში მიიღებიან არანაკლებ II თანრიგის მქონე, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (30 წლის ასაკამდე) შემდეგი სპეციალობებით: მძლეოსნობა, კალათბურთი, ხელბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფეხბურთი, ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა.

I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა;
2. საერთო ფიზიკური მომზადება (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა);
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
4. მათემატიკა (ზეპირი).

II კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა;
2. საერთო ფიზიკური მომზადება (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა);
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
4. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრიადოსნები) და ისინი, ვისაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვს ოქროს ან ვერცხლის მედალზე.

მისაღებ გამოცდებზე საჭირო ნიშნების მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც სკოლაში მოავლინეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და საწარმოებმა (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1092 დებულების საფუძველზე), აგრეთვე, ის პირნი, რომლებსაც აქვთ პროფილით მუშაობის, სულ ცოტა, 2 წლის სტაჟი, ან დემობილიზებული არიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

განცხადებების მიღება:

I კურსზე — 1972 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისამდე, II კურსზე — 1972 წლის 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდების ჩაბარება 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 4. ოთხი შემოწმებული ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, 5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან (წარმოადგენენ შრომის სტაჟის მქონე პირნი), 6. საკლასიფიკაციო წიგნაკი იმის დასადასტურებლად, რომ შემომსვლელს აქვს II სპორტული თანრიგი არჩეულ სახეობაში, 7. ცნობა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ჩაბარების შესახებ, 8. დაბადების მოწმობა ან პასპორტი (წარმოადგენენ პირადად), ხოლო გასაწვევი ასაკის პირებმა ან სამხედრო ვალდებულებმა უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთი ან გაწერის მოწმობა.

სწავლების ხანგრძლივობა I კურსზე ჩარიცხულთათვის 3 წელია, II კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელი.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულებს დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესის მიხედვით. რაიონიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადება შემოტანილი უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მწვრთნელთა სკოლის მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ტელეფონები: 22-81-40, 22-24-69, 22-00-76.

ინსტიტუტის დირექცია.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში
(I ჯგუფი)
18 ივნისი
„ლოკომოტივი" (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)
დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 02570